საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82

ნინოშვილის ქ., №35 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №04

13 ივლისი, 2016 წ.

ქ. ბათუმი

,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის ,,ბსუ დენტი“ დებულების დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე-10 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე” ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 24 ოქტომბრის N2 გადაწყვეტილების, ამავე საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის №5 ოქმის, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის ,,ბსუ დენტი“ თანდართული დებულება (დანართი N1).
2. სტომატოლოგიური კლინიკის ,,ბსუ დენტი“-ს დებულების დამტკიცება არ იწვევს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორისათვის (ფრიდონ ჯაფარიძე) უფლებამოსილების შეწყვეტას.
3. დაევალოს კლინიკის დირექტორს კლინიკის მიერ გასაწევი მომსახურების სახეების და სავარაუდო ღირებულების, ასევე პერსონალის ფუნქციათა აღწერილობისა და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ სამსახურებრივი ბარათების ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის წარდგენა.
4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ეთხოვოს კლინიკის დებულების თანახმად სამართლებრივი აქტების გამოცემისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
5. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი
პროფესორი /დ. ბარათაშვილი/

დანართი 1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის

სტომატოლოგიური კლინიკის ,,ბსუ დენტი“

დებულება

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1. სტომატოლოგიური კლინიკა ,,ბსუ დენტი“ (შემდეგში “კლინიკა”) წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,უნივერსიტეტი“) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის (შემდეგში ,,ფაკულტეტი“) დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს, რომელიც შექმნილია ,,უმაღლესი განათლების შესახებ”, ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ'', ,,საექიმო საქმიანობის შესახებ” და ,,პაციენტის უფლებების შესახებ'' საქართველოს კანონების შესაბამისად.
2. კლინიკა საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ბსუ-ს წესდებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულებით, ბსუ-ს მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებითა და წინამდებარე დებულებით.
3. კლინიკის ადმინისტრაციის მისამართია: ქ.ბათუმი, ე. ნინოშვილის ქ. N35.

მუხლი 2. კლინიკის საქმიანობის მიზანი და ძირითადი მიმართულებები

1. კლინიკის საქმიანობის მიზანია ფაკულტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (პრაქტიკული/კურაციული მეცადინეობების), რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების, დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ცალკეული კურსების/მოდულების კლინიკის ბაზით უზრუნველყოფა.

2. **კლინიკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:**
ა) ფაკულტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (პრაქტიკული/კურაციული მეცადინეობების) განხორციელება;
ბ) რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელება;

გ) დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ცალკეული კურსების/მოდულების განხორციელება;
დ) კლინიკის ბაზაზე უწყვეტი პროფესიული განვითარება: უწყვეტი სამედიცინო განათლების შესაბამისი პროგრამების და ტრეინინგების განხორციელება;
ე) სასწავლო-მეთოდოლოგიური სამუშაოების წარმოების პროცესში ქვეყანაში აღიარებული პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისი სამედიცინო (სტომატოლოგიური) მომსახურების განხორციელება.

3. **კლინიკა უფლებამოსილია:**

ა) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება, რომელიც დაკავშირებული იქნება კლინიკის საქმიანობის მიზნებთან და ძირითად მიმართულებებთან.
ბ) წარუდგინოს ფაკულტეტის დეკანს ინიციატივა კლინიკის საქმიანობასთან დაკავშირებით საჭირო კომისიების (მათ შორის ეთიკისა და სამედიცინო სტანდარტების) შექმნის თაობაზე.

მუხლი3. კლინიკის პერსონალი

1. კლინიკას ხელმძღვანელობს კლინიკის დირექტორი (შემდგომში – დირექტორი), რომელსაც თანამდებობაზე დეკანის წარდგინებით და რექტორთან შეთანხმებით ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
2. კლინიკის დირექტორად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 10 (ათი) წლიანი საექიმო (სტომატოლოგიის მიმართულებით) საქმიანობის გამოცდილება.
3. კლინიკის პერსონალი განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგით, ხოლო ფუნქციათა აღწერილობა მტკიცდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

მუხლი 4. კლინიკის დირექტორის უფლებამოსილება

1. კლინიკისდირექტორი:

ა) განსაზღვრავსდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შესათანხმებლად და დასამტკიცებლად წარუდგენსკლინიკისპერსონალის სამუშაოთა აღწერილობას, ასევე კლინიკის სტრუქტურაშიდასაშტატოგანრიგში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინადადებებს;

ბ) პასუხისმგებელია კლინიკის საქმიანობის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობის, ფაკულტეტის დებულების, ამ დებულებისა და ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტების შესრულებაზე;

გ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს კლინიკის პერსონალისწახალისებისადადისციპლინარულიპასუხისმგებლობის თაობაზე;

დ) ადგენს კლინიკის ყოველწლიურ ბიუჯეტს, შესყიდვის გეგმას და წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

ე) ანაწილებს მოვალეობებს კლინიკის პერსონალს შორის, აძლევს მათ შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს, დავალებებს და აკონტროლებს მათ მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებას;

ვ) კლინიკის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელების მიზნით, ახორციელებს კლინიკის მატერიალური ქონების მართვას და პასუხისმგებელია მის სწორ გამოყენებასა და მოვლა-პატრონობაზე;

ზ) ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე (ამ ორგანოთა კომპეტენციის გათვალისწინებით).

2. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული პირი.

მუხლი 5. კლინიკის ქონება და ბიუჯეტი

1. კლინიკის ქონება წარმოადგენს ბსუ-ს საკუთრებას და კლინიკას იგი გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით.

2. კლინიკის ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა მტკიცდება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, კლინიკის დირექტორის წარდგინებით.

3. განსახორციელებელი მომსახურების ფასს (ტარიფებს) ბაზრის კონიუქტურიდან გამომდინარე, ადგენს კლინიკის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და წარუდგენს დასამტკიცებლად ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

მუხლი 6. დასკვნითი დებულება

კლინიკის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.